განკარგულება:**g-87. 87230604**
თარიღი:**01/03/2023**

**განკარგულება №8**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 15120 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.10.36.109) აღნაგობის უფლებით, პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობაში გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის, ქირის საწყისი საფასურისა და პირობების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 15120 კვ.მ მიწის ნაკვეთის** (**საკადასტრო კოდი - 50.10.36.109**) აღნაგობის უფლებით, პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობაში გადაცემა.

2. დამტკიცდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის პირობები:

ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5% - 810,0 (რვაას ათი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წელი;

გ) სარგებლობის უფლებით გაცემის სხვა პირობები:

- აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტის განთავსების (აშენების) პირობით;

- დასრულებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 (ორი) წელს;

- განხორციელდეს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ

სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM